**სსიპ - კოლეჯი „გლდანის
პროფესიული მომზადების ცენტრი“**

44 ილია ვეკუას ქუჩა
0167 თბილისი, საქართველო
+995 32 214 03 14
profgldaniedu@gmail.com

11/12/2025

MES 5 25 0001776002

**სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს**

**სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“
2025 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის
„ინფორმაციის თავისუფლების“ თავით გათვალისწინებული
მოთხოვნების შესრულების თაობაზე**

ქალბატონო ნათია,

წარმოგიდგენთ სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ (შემდგომში „კოლეჯი“) 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, ამავე კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:
სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2018 წლის 6 დეკემბრის №117 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საქმისმწარმოებელი, მარიამ გაბარაშვილი.

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, კოლეჯში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 17 (ჩვიდმეტი) განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე კოლეჯში მოთხოვნა არ შემოსულა. კოლეჯის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.
ბ) დაკმაყოფილდა 17 (ჩვიდმეტი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა. საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა. პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.
დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, კოლეჯში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.
ე) კოლეჯს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.
ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეტანილი არ ყოფილა და

ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, კოლეჯის მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა. აქედან გამომდინარე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯებიც კოლეჯს არ ჰქონია.

პატივისცემით,

მის: ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, №44.
ს/კ: 200279448
ტელ: 2140314, 2140315
www.profgldani.ge

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო /
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები /
სსიპ - კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ხარაზიშვილი ნოდარ

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონული